განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
6.03.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
06.04,.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი 0314.1.7
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60 (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინა ღუდუშაური, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ხუციშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ვაშაკიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტიან სასწავლო კომპონენტს, ხორციელდება სწავლების მესამე საფეხურზე და მიზნად ისახავს მოამზადოს მკვლევრები, რომლებიც შეძლებენ პროგრამის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულებით (ურბანული ანთროპოლოგიის, რელიგიის ანთროპოლოგიის, პოლიტიკური ანთროპოლოგიის, ეკონომიკის ანთროპოლოგიის, სამედიცინო ანთროპოლოგიის, ვიზუალური ანთროპოლოგიის) ახალი ცოდნის შექმნას დამოუკიდებლად განხორციელებული გრძელვადიანი ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე; მოახდენენ ამ ცოდნის ტრანსფერს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის დონეზე; მომზადებულები იქნებიან წარმატებული კარიერისთვის, როგორც აკადემიურ, ისე საჯარო, არასამთავრობო ან კერძო სექტორებში. მნიშვნელოვანია, რომ ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, პროგრამა ქმნის პლატფორმას ადგილობრივ და საერთაშორისო მკვლევრებთან დიალოგში დოქტორანტების ჩართვისა და მათი დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. პროგრამა ახალია და, შესაბამისად, სტუდენტი ან კურსდამთავრებული არ ყავს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი შეესაბამება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს სადოქტორო საფეხურს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და პროგრამის შემდგომი დახვეწა/განვითარების მიზნით 2020 წლის 6 მარტს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უნივერსიტეტში. ვიზიტის პროცესში ექპერტებმა განახორციელეს უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის (აუდიტორიები, კომპიუტერული აუდიტორიები, ბიბლიოთეკა) დათვალიერება, გაეცნენ მომიჯნავე სფეროს (პროგრამა პირველად შევიდა აკრედიტაციაზე და, შესაბამისად მას სტუდენტი და/ან კურსდამთავრებული არ ყავს) სადოქტორო პროგრამების (სოციოლოგია, ფილოსოფია) კურსდამთავრებულთა საკვალიფიკაციო ნაშრომებს და გაესაუბრნენ პროგრამაში ჩართულ პირებს, კერძოდ, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს, სადოქტორო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელებს, მომიჯნავე სფეროს სადოქტორო პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებელს. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა ვიზიტის დროს შემდგარი ინტერვიუებისა და მატერიალურ/ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები და ძირითადი მიგნებები გააცნო სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს.

ვიზიტი ჩატარდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. უნივერსიტეტის მხრიდან სრულად იყო უზრუნველყოფილი ექსპერტთა ჯგუფის ეფექტიანი მუშაობის შესაძლებლობა და დაცული იყო წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის ყველა პუნქტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამა ლოგიკურად, კომპლექსურად და თანმიმდევრულადაა აგებული და მისი შემადგენელი სასწავლო კომპონენტების მიზნები და შედეგები კორელაციაშია პროგრამის საერთო მიზნებსა და შედეგებთან. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი. კვლევითი პროცესის სისტემატიზაციისა და მის შედეგზე ორიენტირებულობის უზრუნველსაყოფად პროგრამა ითვალისწინებს სადოქტორო კოლოქვიუმებს, რომელსაც

დოქტორანტი უკუკავშირის მიღების მიზნით წარადგენს დარგობრივი კომისიის და სხვა დოქტორანტების წინაშე. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი კურსების ფორმატში არსებობს ასისტირების კომპონენტი, რომელმაც დოქტორანტს უნდა განუვითაროს სწავლების და/ან კვლევის ასისტირება. წარმოდგენილი დოკუმანტაციის შესწავლისა და ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:

- ✓ **საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის 5 სტანდარტიდან 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და 1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- ✓ ***17 კომპონენტიდან შესაბამისობაშია 15 და მათთან დაკავშირებით რეკომენდაციები შეთავაზებული არ არის;***
- ✓ ***მეტწილად შესაბამისობაშია 2 კომპონენტი.***

პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

- **რეკომენდაციები**

  - ✓ გადაიხედოს პროგრამის სილაბუსები, დაკორექტირდეს ქართული ენის თვალსაზრისით და შეივსოს ქართველი ავტორების რელევანტური სამეცნიერო ნაშრომებით. კერძოდ:

1. ქართულენოვანი და ქართველი ავტორების ნაშრომები არ არის მითითებული არცერთ სასწავლო კურსში "რელიგიის ანთროპოლოგიის" სასწავლო კურსის გარდა;

2. სასწავლო კურსი "სამედიცინო ანთროპოლოგია" შეივსოს შესაბამისი ქართული სამეცნიერო ლიტერატურით. კერძოდ, სასურველია მიეთითოს ამ სფეროში არსებული ქართველი მეცნიერების (ნ. გვათუა, მ. ბურდული, ნ. ჩირგაძე, ლ. ნებიერიძე) სამეცნიერო ნაშრომები. განსაკუთრებით, საქართველოში ამ მიმართულების ფუძემდებელი მეცნიერის ნინო მინდაძის მონოგრაფიები;

3. სასწავლო კურსის "Methods of Fieldwork" სილაბუსის თემატიკა ითვალისწინებს საველე კვლევის ქართული მეთოდების სწავლებას, ამდენად რეკომენდებულ ლიტერატურაში უნდა იქნას დასახელებული ქართველი ავტორების შესაბამისი ნაშრომები;

4. სასურველია გასწორდეს სილაბუსებში არსებული ენობრივი ხარვეზები(პირდაპირი თარგმანი ინგლისურიდან და/ან აკადემიური ქართული ენისთვის ნაკლებად ორგანული ტერმინოლოგია) და გათვალსიწინებული იქნეს ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეტ-ნაკლებად აპრობირებული და გაზიარებული ტერმინები.

  - ✓ რამდენადაც ინგლისურენოვანი სილაბუსით წარმოდგენილი კურსი "აკადემიური წერა პუბლიკაციისთვის" ითვალისწინებს ძირითადად ინგლისურენოვანი პუბლიკაციის მომზადების სწავლებას, სასურველია ეს აისახოს კურსის სახელწოდებაშიც. მაგ. "აკადემიური წერა საერთაშორისო პუბლიკაციისთვის" რაც მეტად შეესაბამება კურსის მიზანს და თემატიკას;
  - ✓ სასურველია მომზადდეს სადოქტორო კოლოქვიუმების წარდგენის ლოგიკური თანმიმდევრობის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი და უზრუნველყოფილი იქნას მისი ხელმისაწვდომობა დოქტორანტისთვის;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ✓ დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები. კერძოდ, ზოგადი ფორმულირების "მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში" ნაცვლად მიეთითოს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჰუმანიტარულ, სოციალურ და ქცევით ან ინტერდსიციპლინურ მეცნიერებებში, რაც მეტი სიზუსტით მონიშნავს განათლების წინა საფეხურის შესაბამის სფეროს.
  - ✓ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გამოკვეთილი ტენდენციის მიუხედავად პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია, რაც გულისხმობს კურსდამთავრებულის პოტენციურ პოზიციონირებას დასაქმების ქართულ ბაზარზე. შესაბამისად, სასურველია გარე შეფასებისთვის უცხოელი ექსპერტების გარდა გამოყენებული იქნას საქართველოში არსებული რესურსიც, რაც სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სპეციალისტის კვლევის და/ან დასაქმების სფეროს რეალისტური აღქმის არეალს გააფართოვებს და ხელს შეუწყობს პროგრამის სინქრონიზაციას ლოკალურ მოთხოვნებთან/პერსპექტივებთან;
  - ✓ სასურველია მომზადდეს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ანთროპოლოგის ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი და მისი ფუნქციონირების წესი. მაგ. შესაბამისი პერსონებით (დოქტორანტის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი, საჭიროების შემთხვევაში ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელი ან იურისტი) დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც კვლევის დაწყებამდე ამოწმებს/განიხილავს მომზადებულ კითხვარს ეთიკის ნორმების თვალსაზრისით ყველა მგრძნობიარე/სენსიტიური ნიუანსის გათვალისწინებით და ადასტურებს კითხვარის გამოყენების შესაძლებლობას კვლევაში ან იძლევა რეკომენდაციას ცალკეული კითხვების კორექტირების შესახებ;
  - ✓ სასურველია, ნაშრომის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან შეხვედრებსა და ურთიერთობას მიეცეს გარკვეული სტანდარტიზებული ფორმა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - ✓ პროგრამას ჰყავს საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო, რომლის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს პროგრამის განვითარებას, პროგრამაში ჩართული დოქტორანტების თანახელმძღვანელობას, ერთობლივი კვლევითი პროექტების განვითარებას, კვლევის მუდმივ სინქრონიზაციას საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.
  - ✓ 2018 წლიდან საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებს ტრანსდისციპლინური ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა. ეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გეორგ-ავგუსტის სახელობის

გოტინგენის უნივერსიტეტის (გერმანია) საერთო პროექტია, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელ 12 დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს, დაიცვას სადოქტორო ნაშრომი კოტუტელის პრინციპზე დაფუძნებული მოდელით და მიიღოს ორმაგი სადოქტორო ხარისხი და ორივე უნივერსიტეტის დიპლომი.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ✓ სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და გულისხმობს შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, უნარების, კომპლექსური ანთროპოლოგიური (სოციალური და კულტურული) ცოდნისა და მისი პრაქტიკაში რელევანტური აპლიკაციის უნარის მქონე სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორის მომზადებას, რომელიც შეძლებს პროგრამის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულებით (ურბანული ანთროპოლოგიის, რელიგიის ანთროპოლოგიის, პოლიტიკური ანთროპოლოგიის, ეკონომიკის ანთროპოლოგიის, სამედიცინო ანთროპოლოგიის, ვიზუალური ანთროპოლოგიის) ახალი ცოდნის შექმნას დამოუკიდებლად განხორციელებული გრძელვადიანი ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე; მოახდენს შეძენილი კვლევის შედეგების ტრანსფერს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის დონეზე; შეძლებს კარიერულ განვითარებას როგორც აკადემიურ, ისე საჯარო, არასამთავრობო ან კერძო სექტორებში. ✓ აღნიშნული მიზანი თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიასთან, რომლის მიხედვითაც მოხდება საქართველოში სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ცნობადობის ამაღლება და ამ დარგის პოპულარიზაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ შრომის ბაზრისა და დასაქმების კვლევა; ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის 2018-2024

წლების სტრატეგია; ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგია; ✓ პროგრამის გარე შეფასება.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ პროგრამას ჰყავს საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო, რომლის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს პროგრამის განვითარებას, პროგრამაში ჩართული დოქტორანტების თანახელმძღვანელობას, ერთობლივი კვლევითი პროექტების განვითარებას, კვლევის მუდმივ სინქრონიზაციას საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტურია. შედეგები ასახავს ანთროპოლოგიის მიმართულების სადოქტორო განათლებისთვის დამახასიათებელ პრიორიტეტებს და ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებაზე როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული კარიერისთვის. ისინი შედგენილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სადოქტორო საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციათა აღმწერის მიხედვით და შეესაბამება პროგრამის მიზანსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; სწავლის შედეგებში ასახულია ის ცოდნა, უნარები და ავტონომიურობა, რასაც დოქტორანტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას.

რამდენადაც პროგრამა ახლა გადის აკრედიტაციის პროცესს სწავლის შედეგების შეფასება და მონიტორინგი ჯერ არ განხორციელებულა. თუმცა პროგრამის ამუშავებისთანავე უსდ გეგმავს შედეგების შეფასების მექანიზმის ამოქმედებას, შედეგების შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად განზრახულია როგორც პირდაპირი (სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი), ასევე არაპირდაპირი (სტუდენტების გამოკითხვის შედეგები) შეფასების მეთოდები. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების კომპლექსურობა და მრავალფეროვნება ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და ხელს უწყობს დოქტორანტებში კვლევითი უნარების შეფასებას სხვადასხვა თანამედროვე მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით (დარგობრივი კურსები, სადოქტორო კოლოკვიუმები, საერთაშორისო კონფერენციაში/ფორუმში მონაწილეობა, სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში) და სხვა.

პროგრამის ხელმძღვანელისა და სამუშაო ჯგუფის მიერ განსაზღვრულია ის სამიზნე ნიშნულები, რომლითაც მოხდება სწავლის შედეგების შეფასება. სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას საფუძვლად აღებულია წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და შედეგების შეჯერება/ანალიზი ნიუ იორკისა და კენტის უნივერსიტეტების საერთაშორისო პრაქტიკასთან. ანალიზის მასალად აღებულია ფაკულტეტის მიმდინარე სადოქტორო პროგრამების აქტიური და კურსდამთავრებული სტუდენტების მონაცემები.

პროგრამის სამიზნე ნიშნულების მიღწევადობისა და სწავლის შედგების შეფასებებს განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ამავე სამსახურის სპეციალისტი და პროგრამის სამუშაო ჯგუფი. შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შემუშავდება პროგრამული ცვლილებების პაკეტი სწავლის შედეგებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად. ცვლილებები განიხილება და მტკიცდება „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების“ შესაბამისად.

სასწავლო კომპონენტების ფარგლებში დოქტორანტების ინფორმირება მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ უზრუნველყოფილია შესრულებული ნაშრომების საფუძველზე მიღებული უკუკავშირით, ხოლო კვლევითი კომპონენტის შემთხვევაში - პერიოდული პროგრესის

ანგარიშებით, რომელიც გათვალისწინებულია სადოქტორო კოლოკვიუმების ფარგლებში.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და ჩამოყალიბების მიზნით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიურ პერსონალს კონსულტაციას უწევენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ამასთან, უნივერსიტეტში არსებობს „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC)", რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით (ტრენინგის მიზნებისთვის გამოყენებულია ABET), პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის, შეიმუშავებს ტრეინინგ მოდულებს პროგრამის შეფასების, სწავლის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ სილაბუსები/კონცეფციები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და
- ✓ გაუქმების წესი და პროცედურები;
- ✓ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ✓ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის
- ✓ დებულება;
- ✓ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები;
- ✓ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ,,არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge;
- ✓ სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები (მათ შორის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარები);
- ✓ პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი;
- ✓ სადოქტორო პროგრამების შეფასების ანგარიში;
- ✓ აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის (TSDC)სამოქმედო გეგმა
- ✓ აკადემიურ პერსონალთან და სადოქტორო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ემყარება საუკეთესო პრაქტიკებს, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, და თანხვედრაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე დოქტორანტების ჩართვას პროგრამაში.

პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც აქვს:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში.
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურების მიზნით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი) ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი;
- წარმოდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ჩაბარებული ზეპირი გამოცდა.

პროგრამაზე მიღების პირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ,,მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებასთან“. დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა.
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი, რუბრიკა „სწავლა“ www.iliauni.edu.ge;
- ✓ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები. კერძოდ, ზოგადი ფორმულირების "მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში" ნაცვლად მიეთითოს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჰუმანიტარულ, სოციალურ და ქცევით ან ინტერდსიციპლინურ მეცნიერებებში რაც მეტი სიზუსტით მონიშნავს განათლების წინა საფეხურის შესაბამის სფეროს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუების შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- პროგრამა მომზადებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან

პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის აკადემიური პერსონალი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი და გათვალისწინებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების წესი, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მოთხოვნებს.

- სამუშაო ჯგუფმა მოამზადა პროგრამის სრული პაკეტი - კურიკულუმი, სილაბუსები, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (კომპეტენციათა რუკა), სამიზნე ნიშნულები და პროგრამის სემესტრული გეგმა, რომელიც გარე შეფასებისთვის გადაეგზავნა ნიუ იორკის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის პროფესორს, ბრუს გრანტს;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტის გაძლიერებისა და მისი ეფექტური განხორციელების მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დარგის ექსპერტების მონაწილეობით.
- პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა მომიჯნავე სფეროს დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირი და დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ანგარიშები;
- შემუშავდა პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე პროგრამა დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე;
- სადოქტორო პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სადოქტორო საფეხურსა და ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. კერძოდ, პროგრამა მიმართულია სტუდენტის კვლევით განაცხადში განსაზღვრული კვლევითი პროექტის განხორციელებისა და ამისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებაზე. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი, გამოაქვეყნოს 1 სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში და დაიცვას სადისერტაციო ნაშრომი) ლოგიკური და თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს სწავლის საერთო შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი - შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ სილაბუსები/კონცეფციები;
- ✓ კომპეტენციათა რუკა;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ✓ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ✓ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა ლოგიკურადაა აგებული, კერძოდ, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგების იდენტურია, სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა (6 ან 12 კრედიტი) და შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათები გადანაწილებულია ადეკვატურად და მაქსიმალურად ითვალისწინებს კომპონენტის სპეციფიკას. ✓ სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებული ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურა ეფუძნება დარგის აქტუალურ მიღწევებსა და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, *თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსების განხილვისას და, ასევე, შესაბამისი სასწავლო კურსების ლექტორებთან ინტერვიუს შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაფიქსირა, რომ:* ✓ *ქართულენოვანი და ქართველი ავტორების ნაშრომები არ არის მითითებული არცერთ სასწავლო კურსში "რელიგიის ანთროპოლოგიის" სასწავლო კურსის გარდა, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურმა პერსონალმაც დაადასტურა ინტერვიუს დროს, რომ არსებობს მრავალრიცხოვანი ქართულენოვანი რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურა.* ✓ *ეს ხარვეზი განსაკუთრებით თვალსაჩინოა სასწავლო კურსში "სამედიცინო ანთროპოლოგია", სადაც მითითებული არ არის არა მხოლოდ ამ სფეროში არსებული ქართული სამეცნიერო ლიტერატურა, არამედ საქართველოში ამ მიმართულების ფუძემდებელი მეცნიერის ნინო მინდაძის არცერთი ნაშრომი;* ✓ *სასწავლო კურსის "Methods of Fieldwork" სილაბუსის თემატიკა ითვალისწინებს საველე კვლევის ქართული მეთოდების სწავლებას, მაგრამ რეკომენდებულ ლიტერატურაში არ არის დასახელებული არცერთი ქართველი ავტორის შესაბამისი ნაშრომი.* ✓ *აღნიშნული კურსი მთლიანად ინგლისურენოვანია, რაც გასაგებია, რადგან მას უცხოელი პროფესორი კითხულობს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ენად მითითებულია ქართული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სილაბუსის ქართულენოვანი ვერსიის მომზადებაც, აღსანიშნავია ისიც, რომ კურსის ავტორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი კვლევებით საქართველოსთან და ინტერვიუს დროსაც აღნიშნა, რომ მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს სილაბუსის ქართულენოვანი ვერსიის მომზადება და, საჭიროების შემთხვევაში, კურსის ქართულად წაყვანა;* ✓ *რამდენადაც ინგლისურენოვანი სილაბუსით წარმოდგენილი კურსი "აკადემიური წერა პუბლიკაციისთვის" ითვალისწინებს ძირითადად ინგლისურენოვანი პუბლიკაციის მომზადების სწავლებას, სასურველია ეს შესაბამისად იყოს ასახული კურსის სახელწოდებაშიც;* ✓ *სასწავლო კურსის სილაბუსებში ბევრი ენობრივი ხარვეზია. ხშირ შემთხვევაში სილაბუსის ავტორი ახდენს ინგლისურენოვანი სამეცნიერო ტერმინოლოგიის პირდაპირ თარგმნას და არ ითვალისწინებს, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ამ ტერმინთა გარკვეული ნაწილის*

შეჯერებული და გაზიარებული ვერსიები არსებობს.

ინტერვიუს დროს აკადემიური პერსონალი დაეთანხმა დასახელებული ხარვეზის არსებობას სილაბუსებში და გამოთქვა მზაობა მის გამოსასწორებლად.

იქიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტს მიღების წინაპირობად მოეთხოვება კვლევითი განაცხადის წარმოდგენა, ის პირველივე წლიდან იწყებს მუშაობას საკვლევ თემაზე. კერძოდ, სწავლების პირველივე სემესტრიდან პროგრამა იწყება სადოქტორო კოლოქვიუმების სერიით, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. მისი მიზანია კვლევასთან დაკავშირებული ავტონომიურობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი. სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში დოქტორანტი ამზადებს ანგარიშს კვლევის მოცემული ეტაპისათვის მიღებული შედეგების შესახებ და წარადგენს დარგობრივი კომისიის წინაშე. სადოქტორო კოლოკვიუმი შეიძლება ჩატარდეს მომიჯნავე დარგების დოქტორანტებისა და მათი ხელმძღვანელების/თანახელმძღვანელების მონაწილეობით.

- ✓ სადოქტორო პროგრამის პირველი ორი სემესტრის განმავლობაში სადოქტორო კოლოკვიუმების ფარგლებში დოქტორანტები ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად მუშაობენ პროსპექტუსზე. პროსპექტუსი მუშავდება საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე, რომელსაც დოქტორანტი იცავს მეორე სემესტრის ბოლოს.
- ✓ დოქტორანტის ჩართულობა სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში უზრუნველყოფილია ასისტირების კომპონენტით და მოიცავს როგორც აკადემიური კურსის პროფესორის ასისტირებას სწავლების პროცესში ისე დოქტორანტის შესაძლებლობას ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და ამ მიზნით განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორც არის ლიტერატურის მოძიება, კვლევის ახალი მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობა, შედეგების შეგროვება და ანალიზი და ა.შ.
- ✓ ასისტირების აქტივობებში კრედიტების მინიჭება ხდება შეფასების შესაბამისი ფორმის წარდგენის საფუძველზე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ.
- ✓ კურსის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
- ✓ დოქტორანტებს გააჩნიათ წვდომა სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect,
- ✓ Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ კომპეტენციათა რუკა;
- ✓ სილაბუსები/კონცეფციები;
- ✓ კურსების შეფასების მექანიზმი და კითხვარი;

- ✓ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ✓ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის და ელექტრონული ბაზების დათვალიერების და ბიბლიოთეკის პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- ✓ გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები მათში რელევანტური ქართულენოვანი ლიტერატურის დამატების მიზნით. კერძოდ,

1. ქართველი ავტორების ნაშრომები არ არის მითითებული არცერთ სასწავლო კურსში "რელიგიის ანთროპოლოგიის" სასწავლო კურსის გარდა;

2. სასწავლო კურსი "სამედიცინო ანთროპოლოგია" შეივსოს შესაბამისი ქართული სამეცნიერო ლიტერატურით. კერძოდ, სასურველია მიეთითოს ამ სფეროში არსებული ქართველი მეცნიერების (ნ. გვათუა, მ. ბურდული, ნ. ჩირგაძე, ლ. ნებიერიძე) სამეცნიერო ნაშრომები. განსაკუთრებით, საქართველოში ამ მიმართულების ფუძემდებელი მეცნიერის ნინო მინდაძის მონოგრაფიები;

3. სასწავლო კურსის "Methods of Fieldwork" სილაბუსის თემატიკა ითვალისწინებს საველე კვლევის ქართული მეთოდების სწავლებას, ამდენად რეკომენდებულ ლიტერატურაში უნდა იქნას დასახელებული ქართველი ავტორების შესაბამისი ნაშრომები;

4. სასურველია გასწორდეს სილაბუსებში არსებული ენობრივი ხარვეზები(პირდაპირი თარგმანი ინგლისურიდან და/ან აკადემიური ქართული ენისთვის ნაკლებად ორგანული ტერმინოლოგია) და გათვალსიწინებული იქნეს ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეტ-ნაკლებად აპრობირებული და გაზიარებული ტერმინები.

- ✓ რამდენადაც ინგლისურენოვანი სილაბუსით წარმოდგენილი კურსი "აკადემიური წერა პუბლიკაციისთვის" ითვალისწინებს ძირითადად ინგლისურენოვანი პუბლიკაციის მომზადების სწავლებას, სასურველია ეს აისახოს კურსის სახელწოდებაშიც. მაგ. "აკადემიური წერა საერთაშორისო პუბლიკაციისთვის" რაც მეტად შეესაბამება კურსის მიზანს და თემატიკას;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია მომზადდეს სასწავლო კურსის "Methods of Fieldwork" ქართულენოვანი ვერსია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ისეთი კომპონენტები, როგორიცაა კოლოკვიუმები, სავალდებულო და არჩევითი კურსები, სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში და კონფერენციაში მონაწილეობა. კოლოკვიუმის ფარგლებში, დოქტორანტები ყოველი სემესტრის ბოლოს წარადგენენ საკუთარ კვლევით ანგარიშს დარგობრივი კომისიის წინაშე, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ მიიღონ კომპეტენტური უკუკავშირი და კვლევა წარმართონ ამ უკუკავშირის მიხედვით. სავალდებულო და არჩევითი საგნების ბლოკის ფარგლებში, დოქტორანტებს შესაძლებლობა ეძლევათ საფუძვლიანად და სიღრმისეულად შეისწავლონ სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის მეთოდოლოგიური მიდგომების ძირითადი მიმართულებები, რაც კვლევის პროფესიონალურად განხორციელების წინაპირობას ქმნის. ამასთან ერთად, დოქტორანტი ვალდებულია პროგრამის მიმდინარეობისას მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ ერთ კონფერენციაში, რაც დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი კვლევითი მიგნებები უფრო ფართე სამეცნიერო საზოგადოებას გაუზიაროს და მიიღოს მისგან შესაბამისი შეფასება. საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტია, რაშიც სტუდენტი იღებს როგორც ხელმძღვანელის, ისე პროგრამაში ჩართული საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს რჩევებსა და რეკომენდაციებს. 2017 წელს უნივერსიტეტი გახდა ევროკომისიის პროექტის NUCLEUS-ს კონსორციუმის წევრი, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პასუხისმგებლიანი კვლევების წარმოებას და ნერგავს ინოვაციურ მიდგომებს როგორც აკადემიურ საზოგადოებაში, ისე

მათთან დაკავშირებულ სხვა ინსტიტუციებში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, და ასევე სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირებას.

პროგრამის ფარგლებში კვლევითი ეთიკის საკითხი დარეგულირებულია სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ეთიკის კოდექსით, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზეა შემუშავებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. კვლევის დროს, პროგრამაში ჩართული პროფესორები სტუდენტებს უმაღლებენ ცნობიერებას პროგრამაზე არსებული ეთიკის კოდექსის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს სადოქტორო კვლევა, მაგრამ არ არსებობს დოქტორანტის მიერ დასახელებული ეთიკის კოდექსის დაცვის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მექანიზმი და მისი ფუნქციონირების წესის ამსახველი დოკუმენტი. ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას გაირკვა, რომ უსდ-ში არსებობს ეთიკის კომისია, თუმცა იგი ძირითადად რეაგირებს ეთიკის რომელიმე ნორმის დარღვევაზე და მის ფუნქციებში არ მოიაზრება კვლევისთვის (მაგ. საველე ანთროპოლოგიური კვლევა) მომზადებული სპეციფიკური კითხვარების/ანკეტების ვალიდურობის დადასტურება ან კორექტირების რეკომენდაცია (მაგ. ხომ არ შეიცავს კითხვარი ადამიანის რელიგიური, კულტურული, ეთნიკური ან სოციალური გრძნობების ან ღირსების თვალსაზრისით მგრძნობიარე (სენსიტიურ) კითხვას, ხომ არ უშვებს უხერხული პასუხის შესაძლებლობას და სხვა). ცხადია, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პროფესიონალზმი ამ თვალსაზრისით კითხვას არ ბადებს, მაგრამ მაინც შეიძლება არსებობდეს კითხვის ან/და შესაძლებელი პასუხის ისეთი ნიუანსები, რომელთა წინასწარი პრევენციის პროცესში ანთროპოლოგთან ერთად სასურველია მონაწილეობდეს ფსიქოლოგი, იურისტი ან მაგ. ჯანდაცვის სპეციალისტი.

უნივერსიტეტი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაძლებლობების შექმნას დოქტორანტების საერთაშორისო მობილობისათვის. საგარეო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს უცხოელი მკვლევრებისა და პროფესორების მობილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას; სამსახური მხარს უჭერს დოქტორანტებსა და ფაკულტეტებს კოტუტელების მომზადების კუთხით; საგარეო ურთიერთობების სამსახური თანამშრომლობს ფაკულტეტებთან ერთობლივი პროგრამების შემუშავების მიზნით. სამსახურს შემუშავებული აქვს სადოქტორო დონეზე ორმაგი ხარისხის მისაღებად საჭირო პროცედურები და დოკუმენტების ნიმუშები, მათ შორის ჩარჩო ხელშეკრულება და ერთობლივი ხელმძღვანელობის შეთანხმება.

დოქტორანტის კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები. სამსახურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ საქართველოში/საზღვარგარეთ მიმდინარე პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ დოქტორანტების ინფორმირებაა და ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში

კვლევის მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებასა და მოზიდვას; მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი და უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს დოქტორანტების მონაწილეობის დაფინანსებას სხვადასხვა სამეცინერო კონფერენციებსა თუ ვორქშოპებში. დაწესებულია პასკალის პრემია - ფულადი ჯილდო, რომლის ოდენობა 3 000 ლარია. პრემია გადაეცემა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირებულ ახალგაზრდა მეცნიერს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციისთვის, რომელსაც ექნება სტატიის სახე. პრემიის მიმღებთა რიცხვი შეზღუდული არ არის. ჯილდო ერთ კანდიდატზე გაიცემა წელიწადში მაქსიმუმ სამ სტატიაზე. პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, იყენებს მის მიერ შექმნილ ყველა რესურსს, მათ შორის - დოქტორანტს აძლევს უცხოელი თანახელმძღვანელის ყოლისა და ორმაგი ხარისხის მოპოვების შესაძლებლობას კოტუტელის ფორმატის ფარგლებში. პროგრამაზე არსებობს საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს: პროგრამაში ჩართული დოქტორანტების თანახელმძღვანელობას; ერთობლივი კვლევითი პროექტების განვითარებას; კვლევითი უნარების განვითარებას სხვადასხვა ვორკშოპებით და კურსებით; დოქტორანტების ხელშეწყობას სამეცნიერო ნაშრომების მომზადებასა და გამოქვეყნებაში საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებისთვის; ქართველი მეცნიერების და დოქტორანტების ჩართვას მსოფლიო სამეცნიერო ქსელში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ განვითარების სამსახურის დებულება; ✓ სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება; ხელმისაწვდომია: ✓ https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf ✓ საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება; ხელმისაწვდომია: ✓ https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46577.pdf ✓ პასკალის პრემიის დაწესების შესახებ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში. ✓ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის დებულება; ✓ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის

- ✓ დებულება.
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ეთიკის კოდექსი
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან გასუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

✓ სასურველია მომზადდეს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ანთროპოლოგის ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი და მისი ფუნქციონირების წესი. (მაგ. შესაბამისი პერსონებით - დოქტორანტის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი, საჭიროების შემთხვევაში ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელი ან იურისტი დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც კვლევის დაწყებამდე ამოწმებს/განიხილავს მომზადებულ კითხვარს ეთიკის ნორმების თვალსაზრისით ყველა მგრძნობიარე/სენსიტიური ნიუანსის გათვალისწინებით და ადასტურებს კითხვარის გამოყენების შესაძლებლობას კვლევაში ან იძლევა რეკომენდაციას ცალკეული კითხვების კორექტირების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ უცხოელი თანახელმძღვანელის ყოლისა და ორმაგი ხარისხის მოპოვების შესაძლებლობა კოტუტელის ფორმატის ფარგლებში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსების კომპონენტების სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის ფორმატი დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებისა და მისი სამეცნიერო კვლევის სპეციფიკური მოთხოვნებიდან და ამოცანათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ითვალისწინებს სწავლისა და სწავლების მეთოდთა მრავალფეროვან სპექტრს, მათ შორის სუპერვიზიას, რეფლექსიას, პრაქტიკულ მეთოდს, კოლოკვიუმს, ანალიზსა და სინთეზს და სხვა. ამასთან, დოქტორანტთა ინდივიდუალური აკადემიური საჭიროებებიდან გამომდინარე პროგრამა ითვალისწინებს სადოქტორო სემინარს მომიჯნავე დისციპლინებიდან, რომლის ფარგლებში დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა მისთვის საინტერესო თემატიკასთან დაკავშირებით ინდივიდუალურად იმუშაოს მომიჯნავე დარგის პროფესორთან. სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური საჭიროებების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც ამავე მიზნებისთვის გამოიყენება შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებთ, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით. ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ პროგრამის სილაბუსები/კონცეფციები; ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ✓ სისტემა „არგუსი“ https://argus.iliauni.edu.ge ✓ კურსების შეფასების მექანიზმი და კითხვარი;

- ✓ აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი http://writingcentre.iliauni.edu.ge
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- ✓ მომიჯნავე სფეროს სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტების შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, გამჭვირვალეა, ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად და სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. დოქტორანტების

შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი ფორმებისა და პროცედურების მიხედვით. კერძოდ, სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნისა და უნარების პერიოდულ შეფასებას და ამ გზით სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა დგინდება მისი სპეციფიკის, შინაარსისა და მიზნიდან გამომდინარე და მოიცავს კურსისთვის რელევანტურ შეფასების მეთოდებსა და მკაფიო კრიტერიუმებს.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, სასწავლო კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალი იღებს კონსულტაციებსა და მხარდაჭერას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტისგან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსისგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ტრენინგ-მოდულები შემუშავებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე და ხორციელდება Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/Ex-Tempus) 2017 წლის საგრანტო კონკურსის 3 პროექტის ფარგლებში (INTEGRITY, PRINTeL, ASSET). სტუდენტთა მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრება უზრუნველყოფილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესის შესაბამისად.

სწავლისა და კვლევის პროცესის მიმდინარეობისას, დოქტორანტები იღებენ უკუკავშირს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სხვა აკადემიური პერსონალისაგან თავიანთი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ერთი მხრივ ელექტრონული სისტემა „არგუსი“, რომელიც საშუალებას იძლევა მუდმივ რეჟიმში დამყარდეს კომუნიკაცია დოქტორანტსა და ლექტორს შორის, ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები, რომელთა დროც ყოველი სემესტრის დასაწყისში თანხმდება დოქტორანტებთან. ასევე სადოქტორო კოლოკვიუმები, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტი იღებს უკუკავშირს როგორც საკუთარი ხელმძღვანელისაგან, ასევე დარგობრივი კომისიის ან სხვა დოქტორანტებისაგან. გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური შეფასებების შემდგომ, დოქტორანტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და შეფასების შესახებ უკუკავშირი.

სადოქტორო კოლოქვიუმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მას გააჩნია სადოქტორო კოლოქვიუმების ლოგიკური თანმიმდევრობით წარდგენის გარკვეული სქემა და დაგეგმილი აქვს გააცნოს ის დოქტორანტებს. თუმცა, არ არსებობს კონკრეტული, ყველა დოქტორანტისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სადოქტორო კოლოქვიუმების წარდგენის თანმიმდევრობა.

სადისერტაციო ნაშრომის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომის კონცეფციებში გათვალისწინებულია ეტაპობრივი და თანმიმდევრული პროცესები, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას, დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელის მხრიდან უკუკავშირის მიწოდებას. ნაშრომი იტვირთება პროგრამაში „Moodle" და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა ,,Turnitin"-ით. დაცვის წინა ეტაპზე მოქმედებს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაცვისთვის შესაბამისი სტანდარტის სადოქტორო ნაშრომის წარდგენას. აქვე აღსანიშნავია, რომ სადოქტორო კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებით გათვალისწინებულია ნაშრომთან შესაბამისი საერთაშორისო პუბლიკაციის წარდგენა, რომელიც ინდექსირებული უნდა იყოს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული საერთაშორისო პერიოდული გამოცემების ნუსხებში. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში, ასევე შესაბამისი პროგრამების სადისერტაციო ნაშრომის კონცეფციებში განსაზღვრულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; ✓ სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია; ✓ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი" www.argus.iliauni.edu.ge; ✓ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი; ✓ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; ✓ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი; ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი; ✓ სისტემები http://moodle.iliauni.edu.ge და http://turnitin.com ✓ აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა ✓ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სადოქტორო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ✓ სასურველია მომზადდეს სადოქტორო კოლოქვიუმების წარდგენის ლოგიკური თანმიმდევრობის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი და უზრუნველყოფილი იქნას

მისი ხელმისაწვდომობა დოქტორანტისთვის;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამა 2019 წელს შემუშავდა და შესაბამისად, არ ჰყავს მოქმედი სტუდენტები და/ან კურსდამთავრებულები, ამიტომ აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. როგორც ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისები, რომელებიც უზრუნველყოფენ დოქტორანტების დროულ ინფორმირებას სადოქტორო პროგრამის სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ. უნივერსიტეტში არსებული მომიჯნავე პროგრამების მსგავსად, ამ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ სტუდენტებსაც ექნებათ შესაძლებლობა თავისუფლად ეკონტაქტონ თავიანთი სადოქტორო ნაშრომის პოტენციურ ხელმძღვანელებს, გაიარონ მათთან კონსულტაცია და მოამზადონ კვლევითი განაცხადი. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭირო პროცედურების გავლისა და პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ კი დოქტორანტებს უფორმდებათ ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი სწავლის პირობები და მხარეთა ვალდებულებები. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სწავლის პროცესში ყოველთვის იღებენ უკუკავშირს აკადემიურ მიღწევებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ამ მხრივ, ერთ-ერთ ძლიერ კომპონენტად როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, დაასახელეს სადოქტორო კოლოქვიუმის არსებობა, რომელიც სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტიცაა. სტუდენტთა აზრით, სადოქტორო კოლოქვიუმის დროს აკადემიური პერსონალისა და სხვა დოქტორანტებისგან გაზიარებული გამოცდილება მათ მნიშვნელოვნად ეხმარებათ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას კვლევის პროცესის მიზანმიმართულად წარმართვაში. მომიჯნავე პროგრამების (ფილოსოფია, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა, ციფრული ჰუმანიტარია) სტუდენტებმა აქვე აღნიშნეს, რომ კოლოქვიუმების ჩატარება საინტერესოა პროგრამების ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარეც. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ სტუდენტები სხვადასხვა საშუალებით იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ, რაც ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას. ინფორმაციის მიწოდება ხდება ადგილობრივი შესაძლებლობების

თაობაზეც, რაც აუცილებელია ადგილობრივად დოქტორანტის თავის სფეროში ჩართვის კუთხით. ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ხდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, „არგუსის“, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ საგარეო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ. Erasmus+) და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის დოქტორანტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. საჭიროების შემთხვევაში, სამსახური დაინტერესებულ სტუდენტებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციას; დოქტორანტებს ეხმარება ფაკულტეტებთან სასწავლო ხელშეკრულებების შეთანხმების პროცესში; გამარჯვებული დოქტორანტებისთვის მართავს გამგზავრების წინა საორიენტაციო შეხვედრებს; უზრუნველყოფს შესაბამისი ოფიციალური წერილების მომზადებას და საჭიროების შემთხვევაში სტუდენტთა სავიზო განაცხადების მხარდაჭერას;

დოქტორანტის ჩართვა შიდასაუნივერსიტეტო სისტემაში - „არგუსი“ ხდება პირველივე დღეებიდან. სისტემაში განთავსებულია პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტი მათი სტატუსის მიხედვით. ,,არგუსი“ უზრუნველყოფს სტუდენტსა და პროფესორს შორის ინტერაქციას, რისი საშუალებითაც სტუდენტმა ონლაინ რეჟიმში შეიძლება გაიაროს კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხთან ან კომპონენტთან მიმართებაში. ასევე, სისტემა ,,არგუსიდან“ პროფესორს ელექტრონული შეტყობინების სახით მობილურ ტელეფონზე მისდის დოქტორანტის ნებისმიერი წერილი, რაც აიოლებს კომუნიკაციას და უზრუნველყოფს დროულ უკუკავშირს.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერასაც. ამ საკითხებთან მიმართებაში, დოქტორანტს შეუძლია ინფორმაცია მიიღოს, როგორც ელექტრონულად, ასევე გაიაროს კონსულტაცია უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, სისტემატურად იმართება ტრენინგები უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემისა და რესურსების (Moodle, ელექტორონული ბაზები) მოხმარების საკითხებზე. ინფორმაციის განთავსება რეგულარულად ხდება ვებ-გვერდზე და ეგზავნებათ დოქტორანტებს ელექტრონულ ფოსტაზეც. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა მრავალფეროვან საერთაშორისო ბაზებთან.

სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც ზრუნავს აკადემიური წერის კურიკულუმის შემუშავებაზე, განვითარებასა და განხორციელებაზე. ცენტრი სთავაზობს სტუდენტებს ისეთ სერვისებს, რომლებიც უკავშირდება აკადემიური წერის უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები სისტემატიურად ატარებენ როგორც სტუდენტთა, ასევე კურსდამთავრებულთა გამოკითხვების, კვლევებს სხვადასხვა სერვისების გასაუმჯობესებლად.

ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტების მხრიდან აღინიშნა, რომ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის კოორდინატორების სამსახური, რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე თითოეულ დოქტორანტს კონსულტაციას უწევს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიმდინარეობის შესახებ და აძლევს შესაბამის რეკომენდაციებსა თუ რჩევებს. ამასთან, დოქტორანტთა კონსულტაციას ახორციელებენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები - კურიკულუმის ექსპერტები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, განსაზღვრავენ დოქტორანტებისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს კონკრეტული კვლევითი და აკადემიური სპეციფიკის გათვალისწინებით.

ვიზიტისას, ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლაზეც, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტების ჩართვას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, სთავაზობს მათ ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებსა და ვოქრშოფებს, რომლებშიც გათვალისწინებულია დოქტორანტების მომზადების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

- ✓ **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ✓ საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება; ხელმისაწვდომია:
  - https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46577.pdf;
- ✓ ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა http://library.iliauni.edu.ge
- ✓ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები - ხელმისაწვდომია:
  - https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/foreignrelations/gacvliti-programebi;
- ✓ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“ – www.argus.iliauni.edu.ge;
- ✓ პროგრამების ხელმძღვანელების საქმიანობის წესი;
- ✓ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების პირადი საქმეები - ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის დებულება;
- ✓ სილაბუსები და კონცეფციები.
- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ უსდ-ს ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან გასუბრების შედეგები;
- ✓ მომიჯნავე სფეროს სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრისას გამოიკვეთა და დადასტურდა, რომ დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების შესაბამისად, დოქტორანტი უზრუნველყოფილია კვალიფიციური ხელმძღვანელით, რომელიც არის უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორ-ემერიტუსი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.

ასევე, დოქტორანტს საჭიროებიდან და საკვლევის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი. ინტერვიუირების პროცესში ყურადღება გამახვილდა, რომ სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტს ექნება შესაძლებლობა, ჰყავდეს თანახელმძღვანელიც, რომელიც მოწვეული იქნება სხვა, მათ შორის უცხო ქვეყნის, აკადემიური დაწესებულებიდან საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. ამისათვის, პროგრამაზე არსებობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპული

უნივერსიტეტების შესაბამისი სფეროს მკვლევრებით დაკომპლექტებული საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო, რომლის ცალკეული წევრი, საჭიროების ან აუცილებლობის შემთხვევაში თანახელმძღვანელობას გაუწევს დოქტორანტს და დაეხმარება მას საქართველოსა და/ან მის ფარგლებს გარეთ კვლევის განხორციელებაში. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 5 პროფესორი, ასოცირებული და/ან ასისტენტ/პროფესორი, რომელთაგან თითოეულს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ან კვალიფიკაცია და გამოცდილებაც დოქტორანტის ხელმძღვანელობისთვის. გასაუბრებისას როგორც სტუდენტების, კურსდამთავრებულების, ასევე ნაშრომის პოტენციური ხელმძღვანელების მხრიდან აღინიშნა, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებთან და არსებობის შემთხვევაში თანახელმძღვანელებთან შეხვედრების სიხშირე დამოკიდებულია დოქტორანტის საჭიროებაზე, თემისა და კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე. საკონსულტაციო შეხვედრებსა და სიხშირეზე შეთანხმება ხდება წინასწარ, ინდივიდუალურად თითოეულ დოქტორანტთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამაში შემავალი კომპონენტების სილაბუსები/კონცეფციები; ✓ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge; ✓ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; ✓ სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია; ✓ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და ჩატარებული კვლევები; ✓ თვითშეფასების ანგარიში ✓ პოტენციურ ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგები; ✓ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია, ნაშრომის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან შეხვედრებსა და ურთიერთობას მიეცეს გარკვეული სტანდარტიზებული ფორმა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ 2018 წლიდან საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებს ტრანსდისციპლინური ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა. ეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გეორგ-ავგუსტის სახელობის გოტინგენის უნივერსიტეტის (გერმანია) საერთო პროექტია, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელ 12 დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს, დაიცვას სადოქტორო ნაშრომი

კოტუტელის პრინციპზე დაფუძნებული მოდელით და მიიღოს ორმაგი სადოქტორო ხარისხი და ორივე უნივერსიტეტის დიპლომი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამაზე თანდართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების განხილვით და ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და ქმნის იმის საფუძველს, რომ პროგრამით განსაზღვრული შედეგები იყოს მიღწეული. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება უზრუნველყოფს დარგში თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას დოქტორანტების ეფექტური ხელმძღვანელობისთვის, ხოლო მოწვეული პროფესორის ჩართულობით პროგრამა უზრუნველყოფს დაგროვებული სამეცნიერო ცოდნის გაზიარებას, რაც მნიშვნელოვანია თაობათა შორის ინტელექტუალური კავშირისა და მემკვიდრეობის გამყარებისთვის. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომებით და მათი საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით და სხადასხვა პროექტებში ჩართულობით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის განვითარებაში ჩართულობის გამოცდილება, საერთაშორისო რეპუტაცია და ფართო საერთაშორისო კოლაბორაციული ქსელი, იგი მონაწილეობს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში, რაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შეფასების წესში და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებში. პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი. ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და დამხმარე პერსონალს წარმოადგენს დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კურიკულუმის ექსპერტები, სტუდენტთა კოორდინაციის სამსახური და საქმის წარმოების და ფინანსური სამსახურები. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტით. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია მისაღებ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებაში (მისაღები დოქტორანტების საპროგნოზო რაოდენობაა 5). დოქტორანტების დაგეგმილი რაოდენობა შეესაბამება ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვას, რაც უზრუნველყოფილია ფაკულტეტის მიერ შემუშავებული, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ყოველსემესტრული დატვირთვის სქემით. პროგრამაში ჩართული აკადემიური

პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განსაზღვრის მექანიზმი ეყრდნობა სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც, ითვალისწინებს პროგრამაზე სტუდენტთა არსებულ და მისაღებ რაოდენობას, პროგრამის სპეციფიკას და ადგენს სამიზნე ნიშნულებს აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან მიმართებაში. ფაკულტეტზე შემუშავებული რეგულაციების მიხედვით ერთ პროფესორს უნდა ჰყავდეს არაუმეტეს 5 აქტიური დოქტორანტისა. აკადემიური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებში, სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის გარდა, გათვალისწინებულია ჩართულობა პროგრამის შექმნასა და განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირება და მხარდაჭერა, ასევე პროგრამით განსაზღვრულ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული საქმიანობა განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი წესებით (პროგრამის შექმნისა და განვითარების, პროგრამის განხორციელების შეფასების და პროგრამების შეფასების კრიტერიუმების შესახებ), აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებით. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არ არის ამოქმედებული, პერსონალის დენადობის მაჩვენებელი არ გამოვლენილა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ აკადემიური/ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია; ✓ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ✓ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები; ✓ აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები; ✓ აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში; ✓ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა; ✓ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები; ✓ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ევროკომისიის პროექტის NUCLEUS-ს კონსორციუმის წევრი, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხარისხიანი კვლევების წარმოებას და ნერგავს ინოვაციურ მიდგომებს როგორც აკადემიურ საზოგადოებაში, ისე მათთან დაკავშირებულ სხვა ინსტიტუციებში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, და ასევე სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირებას.

უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს და მხარს უჭერს უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით. სამეცნიერო კვლევითი ერთეულების შეფასების მექანიზმი ემსახურება უნივერსიტეტში კვლევების დაფინანსების ღია და გამჭვირვალე პრინციპებისა და

პროცედურების შექმნას, კერძოდ წინა პერიოდის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო აძლევს რეკომენდაციას აკადემიურ საბჭოს სამეცნიერო კვლევითი ერთეულების სამომავლო პროექტების დაფინანსების შესახებ. აღნიშნული პროცესი გამჭვირვალეა და საჯარო.

სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური შეიმუშავებს და გეგმავს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე მიმართულ უნივერსიტეტის შიდა საქმიანობებს, მათ შორის შიდა დაფინანსების საუნივერსიტეტო მექანიზმებს. სამსახური მართავს და პერიოდულობით აახლებს შესაბამის პროექტების მონაცემთა ბაზას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური.

2017 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევის მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას.

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას.

ფაკულტეტზე ამოქმედებულია და ეტაპობრივად ინერგება სასწავლო პროცესის კოლეგიალური შეფასების მექანიზმი. ამ დროისთვის დანერგილია მოწვეული პერსონალის კოლეგიალური შეფასება. დაკვირვება ხდება სასწავლო პროცესში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შემუშავებული დაკვირვების პროტოკოლით. სასწავლო პროცესის კოლეგიური შეფასების მიზანია სწავლებაში ჩართული პერსონალის პროფესიული ზრდის და განვითარებისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება. შეფასებისას გამოიყენება ისეთი მეთოდი, როგორიც არის ლექციაზე/სემინარზე დაკვირვება. დაკვირვებას აწარმოებს სასწავლო პროცესის კოლეგიური შეფასების ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი წევრი არის პროგრამის ხელმძღვანელი.

დაკვირვების შედეგები და მიწოდებული უკუკავშირი კონფიდენციალურია და მიზნად არ ისახავს სწავლების პროცესის კრიტიკას. ის გამოიყენება სწავლების პრაქტიკის შესახებ კრიტიკული რეფლექსიის ინიცირებისთვის და ქმნის შესაძლებლობებს მისი

გაუმჯობესებისთვის. დაკვირვების ეტაპებია: დაკვირვების წინმსწრები შეხვედრა, დაკვირვება და დაკვირვების შემდგომი შეხვედრა. დაკვირვებისას კოლეგიური შეფასების ჯგუფის წევრები სწავლების პროცესს აფასებენ პროტოკოლის პირველ ნაწილში მოცემული სამი ძირითადი თემატური კატეგორიის და შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. მოცემულ კრიტერიუმებს შესაძლებელია დაემატოს სხვა კრიტერიუმებიც (დამატება შესაძლებლია მოხდეს ლექტორთან დაკვირვების წინმსწრები შეხვედრის შედეგად). შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის. უნივერსიტეტი ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისათვის. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგმოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით. პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში იგეგმება დამატებითი ტრენინგ-მოდულების შექმნა ERASMUS+ მიმდინარე პროექტების ფარგლებში: • „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში" (INTEGRITY). პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლების (აკადემიური და მოწვეული პერსონალის) გადამზადების მიზნით სტუდენტების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით ტრეინინგ მოდულების შემუშავებას და დანერგვას; • „შეფასების მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლებური სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად" (ASSET). პროექტის შედეგად ბენეფიციარ უნივერსიტეტებში მოხდება აკადემიური პერსონალის გადამზადება და შეფასების ახლებური მექანიზმების ჩაშენება სასწავლო პროგრამებში; პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი სთავაზობს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში, თემატურ ტრენინგებს, ლექციებსა და კონფერენციებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს პერსონალის გამოკითხვას უნივერსიტეტში არსებული სერვისებით კმაყოფილების შესახებ. კვლევის შედეგები გამოყენებულია სერვისების გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგია;
- ✓ განვითარების სამსახურის დებულება - ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46621.pdf
- ✓ კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი - ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1090.pdf
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესი;
- ✓ სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ინსტრუმენტები;
- ✓ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი - ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46426.pdf
- ✓ სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება; ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf
- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ:
- ✓ აკადემიური პერსონალის მობილობა; https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/sagareourtiertobebis-samsaxuri-208/gacvliti-programebi
- ✓ აკადემიური პერსონალის მობილობის მაჩვენებელი - ხელმისაწვდომია განვითარების სამსახურში;
- ✓ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ ERASMUS+ CBHE პროექტები - ხელმისაწვდომია:
- ✓ https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/developmentoffice/mimdinare-proeqtebi/erasmus
- ✓ Assessment Tools for new learning environments in higher education institutions (“ASSET”);
- ✓ Change in Classroom: Promoting Innovative Teaching & Learning to Enhance Student Learning Experience in
- ✓ Eastern Partnership Countries (“PRINTeL”)
- ✓ Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia
- ✓ (“INTEGRITY”);
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჩვენებელი და სემესტრული ლექციების კოლეგიური შეფასების და განვითარების კონცეფცია;
- ✓ ლექტორის თვიშეფასების ფორმა;
- ✓ ლექციის/სემინარის დაკვირვების პროტოკოლი;
- ✓ პრე-დაკვირვების ფორმა;
- ✓ პოსტ-დაკვირვების ფორმა;
- ✓ აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა.;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ/ტექნიკური ბაზა (აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრები და ბიბლიოთეკა) გაესაუბრა ბიბლიოთეკის პერსონალს, მომიჯნავე სადოქტორო პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რის საფუძველზეც მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრით, სალექციო აუდიტორიებით, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით (ბიბლიოთეკის ფონდი და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები), სტუდენტის

რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელით „არგუსი", Turnitin, Moodle. ასევე, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით.

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკა - ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და მოიცავს:

- სამკითხველო დარბაზებს: ილიას დარბაზი (მრავალფუნქციური), სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი (მრავალფუნქციური), ლიტერატურის დარბაზი "ლიგამუსში", ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრის დარბაზი, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის დარბაზი, ბოტანიკის ინსტიტუტის დარბაზი, ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დარბაზი, ავსტრიული ცენტრის დარბაზი, იტალიური ენის ცენტრის დარბაზი.
- ჯგუფური მუშაობის სივრცეს სულხან-საბა ორბელიანის დარბაზში.
- ილიას დარბაზში მოქმედებს მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი კუთხე. ორი კომპიუტერული რესურსცენტრი. კომპიუტერები ხელმისაწვდომია ღია დაშვებით.

საბიბლიოთეკო სივრცეში, კერძოდ, ორ კომპიუტერულ რესურსცენტრში ფუნქციონირებს ასლის

- გადაღებისა და ამობეჭდვის ორი პუნქტი (სულ სამი ასლგადამღები).
- შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახი, რომელიც მდებარეობს ილიას დარბაზში.
- წიგნსაცავები, რომელიც განთავსებულია როგორც დარბაზებთან, ასევე დამოუკიდებლად.
- ბიბლიოთეკაში მომუშავე ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია შესაბამისი სამუშაო სივრცით.
- ბიბლიოთეკის დაქვემდებარებაში არსებული ყველა სივრცე უზრუნველყოფილია როგორც სადენიანი ინტერნეტით, ასევე დაფარული უსადენო ინტერნეტით ღია წვდომის რეჟიმში.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მუდმივად განახლებადია და საშუალებას იძლევა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს ამა თუ იმ დარგში მიმდინარე განვითარების უახლესი ტენდენციები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელებას. ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად თავსდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს ახალი რესურსის ხელმისაწვდომობის შესახებ. ფაკულტეტთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხდება სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის იდენტიფიცირება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს საკითხავი მასალის „რიდერის" დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ

საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი. რიდერი მზადდება პროფესორის, ან კურსის ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე, საავტორო უფლებების სრული დაცვით. აღნიშნული რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ საძიებო კატალოგში.

ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ცალკეული პერიოდული ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები, რომლებიც შემდეგ აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული:

- Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science);
- Scopus;
- Ulrich's Index;
- ERIH PLUS;
- EBSCOHost;
- Latindex Catalogue;

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა „არგუსი" - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა. უნივერსიტეტი აღნიშნულ სისტემაში ახდენს ყველა სტუდენტის რეგისტრაციას, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზებას, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსებას. სისტემა „არგუსის" საშუალებით, სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს, ამოწმებს მიღებულ შეფასებებსა და დაგროვებულ კრედიტებს. სისტემა ასევე, გამოიყენება როგორც საკომუნიკაციო მედია აკადემიურ პერსონალს, სწავლის პროცესში ჩართულ სხვა პირებსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, „არგუსის" საშუალებით მთელი წლის განმავლობაში ჰქონდეთ კონტაქტი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები მოიცავენ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს და მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმს. აღნიშნული მუზეუმები ხელს შეუწყობენ პროგრამაში ჩართული დოქტორანტებისა და პროფესორების კვლევითი საქმიანობის წარმოებას, კვლევის ინტერდისციპლინური ასპექტის გაძლიერებას და არქივებისა და სხვა წერილობითი რესურსების უფრო ინტენსიურ გამოყენებას და მათ კვლევაში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge/

- ✓ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge/;
- ✓ ელექტრონული სწავლების პორტალი: http://moodle.iliauni.edu.ge/;
- ✓ ხელშეკრულება Turnitin სერვისის ლიცენზიის გადაცემის შესახებ - ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
- ✓ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები;
- ✓ მემორანდუმი - საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან;
- ✓ მემორანდუმი - მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმთან;
- ✓ მემორანდუმი - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმთან;
- ✓ მემორანდუმი - ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმთან;
- ✓ სერვისების შეფასების კითხვარი - სტუდენტები.
- ✓ ბიბლიოთეკის პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- ✓ მომიჯნავე სფეროს დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამა უფასო სადოქტორო პროგრამაა, შესაბამისად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლისთვისაც კვლევა პრიორიტეტულ საქმიანობას წარმოადგენს შეუძლია პროგრამის სრული ფინანსური უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით. ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის განხორციელება ეკონომიკურად მიღწევადია, ვინაიდან უნივერისიტეტი საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მხარდაჭერას, კერძოდ: პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის: სალექციო და საპრეზენტაციო სივრცეები; ელექტრონული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ბაზები; უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი - უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო ფონდის რესურსების ზრდა, რაც უზრუნველყოფს პროგრამას საჭირო ლიტერატურით. პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომლის ანაზღაურებაც გათვალისწინებულია უნივერისტეტის საერთო ბიუჯეტში. გასათვალისწინებელია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ძირითად სფეროებს წარმოადგენს სწავლება და კვლევა. წესის მიხედვით, აკადემიური პერსონალი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული როგორც სწავლების, ასევე კვლევით პროცესებში, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა/რეცენზირება კი, სწორედ კვლევის სფეროს მიეკუთვნება. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ექსპედიციები და საველე გასვლები. საჭირო ფინანსური რესურსი გამოყოფილი იქნება როგორც მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, ასევე უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტით კვლევების ხელშეწყობისათვის მიმართული სახსრებიდან. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიაა 2018 – 2024 წლების მანძილზე კოორდინირებულად იმუშაონ ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციისთვის, რისთვისაც ფაკულტეტი ხელს შეუწყობს კონფერენციებსა და ვორქშოპების ორგანიზებას, აკადემიური და კვლევით პერსონალის მიღწევების შესახებ ცნობადობის გაზრდას. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი სტუდენტური პროექტების მიმართულებით, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან უზრუნველყოფს წარჩინებული

დოქტორანტების კონფერენციებისა თუ სხვა სახის ღონისძიებების დაფინასებას. ასევე, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კვლევების შედეგების პრეზენტაციის, გამოცემის და სამეცნიერო ღონისძიებებზე წარდგენის ხარჯებს. უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე დოქტორანტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგია; ✓ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბიუჯეტი; ✓ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა ხარისხის შეფასების შესაბამისი პროცედურები, ინსტრუმენტები და მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. შიდა ხარისხის შეფასების განხორციელების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტთან ერთად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავებს შიდა თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზსა და ანალიზის საფუძველზე პროგრამული ცვლილებების პაკეტს. შემუშავებული თვითშეფასების ანგარიში განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს. იგივე პროცედურის დაცვით გახორციელდა სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის პროგრამის თვითშეფასება. კერძოდ, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა

როგორც პროგრამაში ჩართული პერსონალი, ასევე ადმინისტრაცია (ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის სპეციალისტი), რომელმაც წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განახორციელა პროგრამის შესაბამისობის შეფასება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან და შეფასების საფუძველზე, განსაზღვრა თითოეული სტანდარტის მიხედვით პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნული შეფასების საფუძველზე შემუშავდა პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების დოკუმენტის სამუშაო ვერსია. დოკუმენტის სამუშაო ვერსიის განხილვის შემდეგ იგი გადაეგზავნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო სადოქტორო პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები, დამსაქმებლების უკუკავშირი და გარე შეფასება. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების დოკუმენტის საბოლოო ვერსია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ✓ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებელი კვლევის ანგარიშები; ✓ გარე შეფასების დოკუმენტი; ✓ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა შემუშავდა 2019 წელს და განხორციელდება მისი აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის განზრახულია აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს დასკვნებისა და რეკომენდაციების, როგორც გარე შეფასების შედეგების გამოყენება.

ამასთან ერთად, პროგრამა გარე შეფასებისთვის გაეგზავნა ნიუ იორკის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ, ბრუსს გრანტს და განხილულ იქნა პოტენციური დამსაქმებლების მიერ. გარე შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში. კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა პროგრამის ისეთი მხარეების გაუმჯობესება, რომლებიც უზრუნველყოფენ დოქტორანტების მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო დასაქმების ბაზარზე ორიენტაციისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი;
- ✓ სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმები;
- ✓ პოტენციურ დამსაქმებელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია გარე შეფასებისთვის უცხოელი ექსპერტების გარდა გამოყენებული იქნას საქართველოში არსებული რესურსიც, რაც სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სპეციალისტის კვლევის და/ან დასაქმების სფეროს რეალისტური აღქმის არეალს

გააფართოვებს და ხელს შეუწყობს პროგრამის სინქრონიზაციას ლოკალურ მოთხოვნებთან/პერსპექტივებთან;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ პროგრამას ჰყავს საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა პროგრამის გარე შეფასება და სინქრონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის პროგრამა აკრედიტაციის პროცესშია, მისი მონოტორინგი და შეფასება არ განხორციელებულა. შესაბამისად, ამ სტანდარტის შეფასებისთვის ექპერტთა ჯგუფი დაეყრდნო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების კონცეფციით გაწერილ პროცედურას, რომელიც გულისხმობს როგორც გეგმიური ტიპის სისტემურ კვლევებს/შეფასებებს, ასევე საჭიროებაზე დაფუძნებულ კვლევებს/შეფასებებს "Plan, Do, Check, Act" პრინციპით. ასევე, ამ საკითხებთან დაკავშირებით გაესაუბრა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს.

- ✓ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის საქმიანობის კვლევა/შეფასება. კვლევის შედეგები მიეწოდებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებს; ასევე, საზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და სტრატეგიას, რაც აისახება შესაბამის ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს. მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები და ინტერვენციები, რომლებიც, თავის მხრივ ფასდება ზემოთ აღწერილი ციკლური პროცესის შემდგომ ეტაპზე.
- ✓ პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია შიდა ხარისხის პოლიტიკით.
- ✓ შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ფასდება პროგრამა (სწავლა-სწავლება), კვლევა, სერვისები, რესურსები განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა ლონგიტუდური მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.
- ✓ საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის გადაფასებისა და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას. ასეთი კვლევების საკითხი შეიძლება იყოს: დაბალი აკადემიური მოსწრების, სპეციალური საჭიროებების მქონე, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებების კვლევა.
- ✓ შიდა ხარისხის სისტემური კვლევების ფარგლებში სტუდენტების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კმაყოფილებისა და შეფასების კვლევა ხორციელდება რეგულარულად სისტემური კვლევების დროის ჩარჩოს მიხედვით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ ატარებს სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევას და კურსების/კომპონენტების შეფასებას.
- ✓ უნივერსიტეტი სისტემა „არგუსის“ დახმარებით ახდენს გამოკითხვას და რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვებას. ანალოგიური პრინციპით ხორციელდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა.
- ✓ დამსაქმებლების და პარტნიორი ორგანიზაციების შეფასებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი/სტუდენტური სერვისები ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული ad-hoc შექმნილი ინსტრუმენტებით.
- ✓ მოპოვებული ინფორმაცია ემსახურება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენას და გაუმჯობესების სტრატეგიის დაგეგმვას. დასკვნები აისახება შესაბამის ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს.
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის

გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტი იყენებს როგორც შიდა, ასევე გარე შეფასების მექანიზმებს. შიდა შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით და გულისხმობს ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში შემდეგი კვლევების განხორციელებას: სტუდენტების აკადემიური პროგრამით კმაყოფილების შეფასება; კურსების/კომპონენტების შეფასება; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა; დამსაქმებლების შეფასება, და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ✓ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები; ✓ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“- https://argus.iliauni.edu.ge; ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ✓ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 51

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თინა ღუდუშაური

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ქეთევან ხუციშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა: მარიამ ვაშაკიძე